პარასკევი 19 ივნისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით: წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს [illegible] დარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 108 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 108

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის თრსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

კვირას, 21 ივანობისთვეს, საფიჩხიის ეკლესიაში გადახდილ იქნება 6 თვის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ექიმ ერმილე სოფრომის ძის
ხ უ ნ დ ა ძ ი ს

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ ქვრივი ნატალია დიმიტრის ასული ხუნდაძისა შვილებით. პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე.

1—1—487

ნიკოლოზ პეტრეს ძე ჯაიანი ოჯახობით აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 20 ივნისს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში, დილის 12 საათზე დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

ივანე პეტრეს ძის ჯაიანის

სულის მოსახსენებლად. 1—1—482.

მიხეილ ოქროპირის ძე ქლენტი, მეუღლე მისი ნატალია ზურაბის ასული, შვილები მათი: ივანე, გრიგოლ, მარიამ და სალომე; შვილიშვილებით: შუშანიკა და ვახტანგ სერგის ასული ძე ძე, დომენტი ფირანის ძე უგრეხელიძე და მეუღლე მისი ზინობიერი და მღვდელი იაკობ სირბილაძე—გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ პირველნი და მეორენი რძლის, მესამენი დედის, მეოთხენი ასულის და მეხუთე შვილის შვილის

ბაბილინეს (ექიმ ქლენტის მეუღლის)

გარდაცვალებას სოფ. ტყიბულში, 16 ივნისს. ცხედრის ჩამოსვენება მოხდება ქუთაისის სადგურზე კვირას, 21 ივნისს, დილის 9 საათზე, საიდანაც წაასვენებენ საფიჩხიის ეკლესიაში და შემდეგ წირვისა დაკრძალულ იქნება საფიჩხიის სასაფლაოზე. 21—486.

უძვირფასესი შვილის დაკარგვით სიცოცხლე გამწარებული მიხეილ ასათიანი, საიმედო ძმისწულის გამოსალმებით მწარეთ შეწუხებული პეტრე ასათიანი და ახლო ნათესაობა უღრმეს მადლობას უცხადებენ ქუთაისში ყოფილ სანიტ. ტრანსპორტის მე—4—5 რაზმს და საზოგადოებას, რომლებმაც საუკუნოთ დაგვავალეს, პატივი გვცეს თავისი მხურვალე მონაწილეობით ჩვენს უბედურებაში და ი ა ს ო ნ (ს ა ს ო) ასათიანის გამოსვენება დაამშვენეს. 1—1—485

გულდათუთქულნი მშობლები: ნატალია ლეონტის ასული ოსიძისა და სოლომონ პორფირის ძე ოსიძე, ძმა და დები: ალექსანდრა, ეკატერინე და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 21 ამა ივნისს, 11 ს. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ნახუტურო) გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ და ტრაღიკულათ დაკარგულის უსაყვარლესი და დაუვიწყარი მათი შვილისა და დის

ქ ს ე ნ ი ა ს

სულის მოსახსენებლათ. 1—1—485.

ანნა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა და ელისაბედ ლუარსაბის ასული მეძმარიაშვილი 1 ენკენისთვეს 1915 წ., გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბადრიძის სახლში ხსნიან

ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ სკოლას
საბავშო ბაღით.

სამოსწავლო გადასახადი 10 მანეთი თვეში.
ბავშების მიღება დაიწყება 20 მარიამობისთვიდან.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 18 ივნისიდან, ნაჩვენები იქნება

მეორე სერია — მეორე სერია

ომი და მშვიდობიანობა.

სრული მხატვრული ილიუსტრაცია ლ. ტოლსტოის პოემისა, ხუთ ნაწ. დადგმულია ვ. გარდინისა და ი. პროტოზანოვის ხელმძღვანელობით. ნაწ. 1. სამშობლოს ომის წინ. ნაწ. 2. თ. ან. ვოლკონსკი. ნაწ. 3. მომაკვდავი მასხოვი. ნაწ. 4. ბრძოლა აუსტერლიცთან. ნაწ. 5 ტილზიტის ზავი. „მონაწილეობენ სახელოვანი ძალები: ო. პრეობრაჟენსკაია, ე. უვაროვა, შილინგი, ვოვშეკი და სხ.

საზამთრო შენობაში.
ხუთშაბათიდან, 18 ივნის-დან, ახალი პროგრამა:

ჯადო ქვა.
დრამა 3 ნაწილათ.
მოქმედება სწარმოებს ინდოეთში და ინგლისში.

სამხედრო ქრონიკა.
სკობელევის კომიტეტის გამოცემა № 14. „რადიუმის“ მონოპოლია.
ხონთქარი ერთი საათით.
[illegible] კომედია 2 ნაწ.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები [illegible] ანონსი:

ფუღელი ლ[illegible]
აპუხტინის ცნობილი ლექსიდან. დრამა 4 [illegible]ით.
მონაწილეობენ ცნობილი არტისტები: რინდინისა და მოზჟუხინი.

ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტი ამით აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ საზოგადო კრება დანიშნულია ამა ივნისის 20-ს, დღით შაბათს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის გამგეობის ბინაზე.

განსახილველი საგნებია:

1. ანგარიშები 1913 წლიდან 1915 წლის ივნისამდის; 2. მოხსენება კომიტეტისა; 3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 4. წესდების მუხლის შეცვლა; 5. სხვა და სხვა საშუალების გამონახვა საზოგადოების წევრთ რიცხვის გასამრავლებლათ და 6. არჩევანი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. 2—1—483

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ., საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

კბილის ექიმები
მენაღარიშვილი და ტრუფანოვა
ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კ ა შ ი ა
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას, ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

რედაქციაში მოიტანეს სხვადასხვა საბუთები სტუდენტ პაკენტი ოლლისა. ეს საბუთები ნაპოვნია სამტრედიიდან თფილისისკენ მიმავალ სახალხო მატარებელში. პატრონს შეუძლია მოიკითხოს „სამშობლოს“ რედაქციაში. 10—1 უვ.

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 16 ივნ. დღის ოფიციალური ცნობა. არასის ჩრდილოეთით არტილერიის ბრძოლა გრძელდება სუშეს ჩრდილოეთით და ნევილის ჩრდილოეთით. ჩვენი ქვეითა ჯარის მოქმედების საშუალებით ჩვენ წავიწიეთ ანგრ—აბლენის გზაზე. არგონებში, ბაგატელთან განუწყვეტელი ბრძოლაა. ვოგეზში გერმანელებმა მოახერხეს, და ჩვენს მოწინავე რაზმს მეცერალიდან უკან დაახევინეს, მაგრამ კონტრ-იერიშით ჩვენ უკან დავიბრუნეთ დაკარგული ადგილის ერთი ნაწილი.

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 17 ივნ. ოფიც. მთავარ სარდლის შტაბისაგან. 15 ივნ. გერმანიის გემთა რაზმი ერთი ჯავშნოსანით, ოთხი მსუბუქი კრეისერით და რამდენიმე ნაღმოსნით ვინდაოს პორტას ესროდა და სცდილობდა ნაპირზე დესანტის გადმოსხმას, რომელიც მან ვერ მოახერხა. მტრის ერთი ნაღმოსანი ნაღმა წააწყდა და აფეთქდა ჩვენი ნაღმოსნები შეებრძოლენ მტრის კრეისერებს და ნაღმოსნებს, რომელნიც ვინდაოს ჩრდილოეთიდან ოპერაციას ფარავდენ და აიძულეს იგინი უკან დახეულიყვენ.

შავლის რაიონში, ნემანისა და ნარევის ფრონტზე და ვისლის მარცხენა ნაპირზე სიწყნარეა. მტრის შეტევა ვეპრჟისა და ბუგის ზუზამოსტიე - სოკალის ფრონტზე გრძელდება. დასავლეთ ბუგზე და გნილა ლიპასთან 15-სა და 16 ივნ. ჩვენ მოვიგერიეთ მტრის რამოდენიმე იერიში. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მტერს დნესტრზე გადმოსვლა უნდოდა. გალიჩთან თვითონ ჩვენ შეუტიეთ, მტერი უკუვაქციეთ და რამოდენიმე ასი კაცი დავატყვევეთ.

## კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი** 17 ივნისი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის გზით ოსმანი სცდილობდენ ფორტმუჩაის მარცხენა ნაპირზე სანგრების გათხრას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, და ჩვენ განვდევნეთ. ნაშუადღევის ორ საათზე ოსმალონი იერიშით მოვიდენ გედამაგის მთაზე, მაგრამ იძულებული გახდენ თავის წინანდელ ადგილებს დაბრუნებოდენ. საღამოთი მათ ისევ განაახლეს იერიში, მაგრამ ისევ უკუქცეულ იქნენ. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

# მასიური შურის ძიება.

„დევნისა ჩემისათვის
შივაგო მე“...

ერთ დროს ევროპაში სახელი გაითქვა რუსულმა „ბუნტარობამ“, რომლის მატარებლებსაც რუსეთის მთავრობამ „ბუნტოვჩიკები“ უწოდა; მას შემდეგ „ბუნტარი“ ანუ „ბუნტოვჩიკი“ საგინებელ, სალანძღავ სიტყვათ გადაიქცა. მაშინ, როდესაც წინათ ის მხოლოთ პროგრესიულ მებრძოლ ელემენტს აღნიშნავდა.

დღესაც არიან რუსეთში ერთგვარი „ბუნტარები“, მაგრამ მათ ახლა მთავრობა „ბუნტოვჩიკებათ“ აღარ ნათლავს და საზოგადოებამაც მას სახელი დროზე გამოუცვალა; ახლა ასეთ ელემენტებს „პაგრომჩიკებს“ ანუ „გრამილებს“ ეძახიან; ისინი რუსეთში დრო-გამოშვებით „პაგრომებს“ აწყობენ და მასიურ აოხრება-აწიოკებას ახდენენ.

რუსული „პაგრომი“ რუსეთის ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა, რასაც მხოლოთ კონტრრევოლიუციონური და რეტროგრადულ—რეაქციონური ბეჭედი აზის, მას ძველებური „ბუნტარობის“ არაფერი სცხია და პროგრესთან არავითარი წილი არ უძევს მხოლოთ გარეგანი ფორმით და გამოხატულობით თუ მოგვაგონებს „ბუნტარობას“, რისთვისაც ჩვენ მას ერთგვარი „ბუნტარობა“ ვუწოდეთ; თორემ „ბუნტარებს“ და „პაგრომჩიკებს“ სრულ სხვა და სხვა მოტივები და მიზანი ანსხვავებს და ახასიათებს.

საერთოც ბევრი რამეა მათ შორის; მაგალითად, „ბუნტარიც“ და „პაგრომჩიკიც“ საზოგადოების ერთი ნაწილის „ოხრება—აწიოკებით“ ფიქრობს საზოგადო ცხოვრების შეცვლას: „ბუნტარები მემამულეების ოხრებით ფიქრობდენ „მამულის საერთო მფლობელობის“ განმტკიცებას, ხოლო „პაგრომჩიკებს“ კი „ურიების“ და „ნემცების“ აწიოკებით ცდილობენ უცხოელთა კონკურენციის თავიდან აშორებას.

ორივე შემთხვევაში ცდა—სურვილი უნაყოფოა, უტოპიურია: „მამულის საერთო მფლობელობა მამულის ოხრებით არ დამყარდება და კონკურენციაც ებრაელთა, გინდ გერმანელების გაჟლეტით არ მოისპობა. ეს ცხადზე უცხადესია, მაგრამ მიუხედავათ ამ სიცხადისა, საზოგადოებაში ბევრია ისეთი ელემენტი, რომელიც მდგომარეობით გამოურკვეველია, ცხოვრების ნორმის გარეშე სდგას და მუდამ იმის ფიქრშია, რომ დრო იხელთოს და როგორმე ცხოვრების ზედა-პირზე ამოცურდეს, ამიტომ ის ყოველთვის მზათ არის საზოგადოებრივ ღელვის დროს შემთხვევით ისარგებლოს, ტალღებით გადმოსროლილი საგნები ხელთ იგდოს და დიდი ხნით დამშეული სტომაქი ხარბათ ამოყოროს. საზოგადოებრივ ასეთ გარიყულ ჯგუფს, თუ კლასს „ლუმპენპროლეტარიატს“ უწოდებენ.

რუსეთში ისინი „ბოსიაკებათ, ბროდიაგებათ“ და „პროხოდიმცებათ“, ანუ უკეთ „ხულიგანებათ“ არიან ცნობილი.

დღევანდელი „ბუნტარებიც“, ანუ „პაგრომჩიკები“ ესენი არიან.

ოხრების, ანუ „გრამილების“ პრბოებს ყოველთვის მეთაურობენ დღევანდელი „ბუნტარები“ ანუ „პოგრომჩიკები“, ეს უტოპისტ-კონტრრევოლიუციონერები.

ეს აზრი ნათლად გამოსჭვივის ამ ბოლო დროს მოსკოვში გომხდარ ამბებიდან. მოსკოვში მცხოვრებ გერმანელების აწიოკება, მოსკოვის „პაგრომი“ აშკარად მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ უყვართ სამშობლო ჩვენის დროის „ბუნტარებს“ და რამდენათ აფასებენ ისინი „რუსეთის არმიის„ გამარჯვებას.

წინათ თუ ისინი „ურიათა“ ოხრება-აწიოკებას ქადაგებდენ, ახლა მათ ომმა საშუალება მისცა ესევე იქადაგონ „ნემცების“ შესახებ. Სჩანს ომამდეც და ომის დროსაც მათი სულის კვეთება ერთნაირია, ერთ ტაქტიკას მიჰყვება: კონკურენცია უცხო ერების მძლეობარება და შურის ძიებით ოხრება-აწიოკებით მათი კონკურენციის თავიდან აშორება, აი მათი მისწრაფება და სურვილი.

მაგრამ ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ომმა, როგორც სხვა ყველაფერზე, ისე აქაც დიდი გავლენა მოახდინა.

გარდა იმისა, რომ ამ ომის დროს „ურიათა“ მაგიერ ნემცები ააოხრეს-ააწიოკეს და ყოვლად მხეცურით და შეუბრალებლადაც ააოხრეს, უნდა ითქვას, რომ ეს წმინდა რუსული პაგრომი“ ლამის საერთაშორისო მოვლენათაც გადაიქცეს. „მოკავშირეთა“ პრესს

მუდმივმა შოვინისტურმა აგიტაციამ ნემცების წინააღმდეგ თავისი ჰქმნა და ყველგან ამ ქვეყნებში თითქმის შეუგნებელი მუშებიც კი გააშოვინისტა. ყველგან ნემცების წინააღმდეგ შურის-ძიების გრძნობა აღუძრა.

ქ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

როგორც გადმოგვცემს „რეჩის“ სპეციალური კორესპონდენტი, გერმანიის ელჩმა გრაფ ბერნსდორფმა თავის მთავრობის მონდობილებით მიმართა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, იკისროს მეომარ სახელმწიფოთა შორის ზავის შუამდგომლობა.

ჩვენს დიპლომატიურ წრეში ოფიციალური ცნობა არ მოსულა, რომ გერმანია ზავს მოითხოვს, ამბობს „რეჩი“, მხოლოდ „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის ცნობა სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს.

უეჭველია, გერმანიამ უნდა ისარგებლოს დროებითი გამარჯვებით და ჩამოვარდეს ზავი მისთვის ხელსაყრელ პირობებში. მაგრამ რუსეთმა და მთელმა მოკავშირეებმა მტკიცეთ გადასწყვიტეს ომი ბოლომდის მიიყვანონ და გერმანიის მილიტარიზმს სრულიად ბოლო მოუღონ.

**კოპენჰაგენი.** ხმა გავრცელდა, ვითომ იმპერატორ ვილჰელმს კერძო წერილში გამოეცხადებიოს, რომ ზავი უფრო ახლოა, ვიდრე სხვას მოელის გერმანიის საზოგადოება.

რეიტერის სააგენტომ ოფიციალურათ გვაუწყა, თუ ეს ამბავი ასეა ინგლისს მაინც გადაწყვეტილი აქვს ომი განაგრძოს, ვიდრე არ გაიმარჯვებს“ ო.

„ქავკ. ს.“

**მოსკოვი.** „რან. უტრო“-მ მოათავსა ანკეტა მოსკოვის საზოგადო მოღვაწეებისა სუხომლინოვის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ჩელნოკოვის აზრით: ეს ნიშანია მთავრობისა და საზოგადოების დაახლოვებისა. თ-დი ლვოვის აზრით სუხომლინოვის გადადგომას შეხარის რუსეთის ყველა ერთგული შვილი. ალექსანდრე გუჩკოვის აზრით—ეს დიდი მეხის დაცემაა გერმანელებისა და ნიშანია ჩვენი გამარჯვებისა.

„ქავ. სლ.“

სუხომლინოვის მოადგილეთ სამხედრო მინისტრის ადგილზე დანიშნება ინფ. გენ. ალ. ანდრიას ძე პოლივანოვი.

## შინაური ქრონიკა.

უმაღლესი ბრძანების განკარგულებით 22-ს მაისიდან მოწინააღმდეგე მებრძოლ სახელმწიფოს ქვეშევრდომთ ნება არა აქვთ გამოიტანონ ბანკებიდან მიმდინარე ხარჯთ-აღრიცხვით 500 მანეთზე მეტი ფული.

შავი ზღვის ნაპირად დასახლებულმა ოსმალეთის ქვეშევრდომმა სომხებმა რიცხვით 24000 კაცმა მეფის მოადგილეს წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რომ ასეთი წესდება ძლიერ დააზარალებს მათ წარმოებას, როგორც არის თამბაქოს მოყვანა და სხვა მინდვრის მუშაობა. თხოულობდენ, რომ ეს წესდება მათზე არ გავრცელდეს.

სომხების ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ს. არუტინოვმა მიმართა ამის შესახებ მეფის მოადგილის თანაშემწეს ნ. ა. პეტერსონს; და უკანასკნელმა აუწყა მას, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხების თხოვნა დაკმაყოფილებული იქმნება.

## ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

(გაგრძელება, იხ. „სამშ.“ № 107).

**გრ. ლაღიძე.** მამულის გაყიდვისწინააღმდეგი ვარ. საზოგადოებამ ასეთი მაგალითი არ უნდა მისცეს სხვას, მამულს კარგად მოუაროთ და შემოსავალიც იქნება.

**ი. ფანცხავა.** ეს პირველი მაგალითია, რომ სოფელში ადამიანმა წ. კ. საზოგადოებას მამული შესწირა და დღეს ამ საზოგადოებამ ეს მამული რომ გაყიდოს, შემდეგ აღარავინ არაფერს არ შესწირავს კულტურულ დაწესებულებას, რადგან ასეთ მაგალითი ცუდათ იმოქმედებს ქველმოქმედ პირზე, ამიტომ მამული იჯარით გავსცეთ და შევინარჩუნოთ, სახლი მივაქიროოთ სოფლის რომელიმე დაწესებულებას, ამასთანავე გავგზავნოთ გამო ცდილი კაცები და დავავალოთ მათ, გამოიკვლიონ და გამოარჩიონ, თუ როგორ მოუაროთ ამ უძრავ მამულს.

**გ. ურატაძე.** ჯერჯერობით გაყიდვა მამულისა შეჩერდეს, შეიძლება მომავალში იმდენი შემოსავალი მოგვეცეს, რომ თავისი ხარჯიც დაფაროს, ნუ ავჩქარდებით.

**ს. წერეთელი.** უმჯობესი იქნება მამული იჯარით გავსცეთ და შევინახოთ, სახლში კი სკოლა გავხსნათ.

**ს. ყიფიანი.** რაც ზარალს იძლევა, როგორც მაგალითად ტყე, გაიყიდოს, არც სარგებლობას მოგვცემს, მოუაროთ და შევინახოთ; ერთი სიტყვით, რაც სასარგებლოა ჩვენისის, ის იჯარით გავცეთ, ან დაკაცი დაუყენოთ მომვლელი.

**ს. კილაძე.** რაც ზარალს გვაძლევს, ჯერჯერობით ისიც უნდა შევინახოთ, მოვნახოთ პატიოსანი და სანდო კაცი და ჩავაბაროთ მოსავლელათ.

**ვლ. წერეთელი.** როგორც გამგეობას გამოურკვევია და ს. ყიფიანმაც დაადასტურა, ჩემის აზრით აჯობებს ტყე გავყიდოთ და დანარჩენს მომვლელი დაუყენოთ.

**ა. ლოლაძე.** უკეთესი იქნება შევასრულოთ შემომწირველის სურვილი და დავაარსოთ სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის აღორძინებას.

**ბ. მოსეშვილი.** ნება მომეცით შესწორება შემოვიტანო და მოგახსენოთ შემდეგი: სოფლის მამულს თუ კარგი მომვლელი არა ჰყავს და ან თვითონ პატრონი არ მუშაობს თავისი ხელით, ისე არაფერი არ შემოაქვს; უნდა ჰყავდეს მიჩენილი კარგი მცოდნე მუშა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს, დათესოს და მოიყვანოს ის, რაც მეტს სარგებლობას მისცემს, თორემ მარტო ყვითელი ლობიო და ცერცვი რომ სთესოს, რას მისცემს; აი აქ ბრძანდება მემამულე ი. ფანცხავა, რომელსაც ქუთაისიდან ახლავს მამული 7 ვერსის დაშორებით, ხშირათ თვითონაც დაბრძანდება და ყურადღებას აქცევს, აბა გვიამბოს აქვს მამული „პლიუს“ აძლევს მას თუ „მინუსს“; საზოგადოო ტყე ძნელი მოსავლელია, [illegible] მოშორდება, [illegible] და მოსპობა [illegible] კულტურულ დაწესებულებას არ შეშვენის ამის შესახებ ბოქაულ-მამასახლისები შეაწუხოს, მათ სდიოს და ეძებოს დამნაშავეების აღმოჩენა და დასჯაში, ამიტომ ჩემი აზრია და კიდევ ვიმეორებ ტყე გავყიდოთ; რაც შეეხება სკოლის დაარსებას, საზოგადოება ვალდებულია ჯერ უფრო ღარიბ სოფლებს გაუხსნას სკოლა ვიდრე ასეთ შეძლებულს, როგორც დილიკაურია.

დაბოლოს, ავტორების მიერ გამოთქმულ სხვადასხვა აზრს თავმჯდომარემ **ილ. ჩიქოვანმა** გაუკეთა დასკვნა და ილაპარაკა შემდეგი: „ნურავინ იფიქრებს იმას, რომ შემომწირველი მდიდარი იყოს, იმისი საშუალება მეტად შევიწროვებულია, ეძლევა პატარა პენსია, რომლის ნაწილიც მევალეებს მიაქვთ, მაგრამ, მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, მან უძღვნა წმინდის გულით ძღვენი წ. კ. საზოგადოებას, ამაზე მეც დამეკითხა და რჩევა მივეცი; ამ გვარად მან შემოგვწირა თავისი უძრავი მამული, ხოლო იმ პირობით, რომ მამულს ჩვენ მოუვლიდით და შევინარჩუნებდით, არ გავყიდიდით, გამგეობა კი აცხადებს, რომ შემომწირველი თანახმა არის მამული ფულად ვაქციოთ; თუ ასე აუხსნიდით საქმის ვითარება, რასაკვირველია მაშინ ისიც დაგვეთანხმებოდა. ჩემის აზრით მამულის გაყიდვა დიდ უმადურობას გამოიწვევს, თუ ვერ მოუვლიდით ხელიც არ უნდა მოგვეკიდნა, შეგვეძლო უარი გვეთქვა; დღეს შემომწირველი ცოცხალია, ჩვენ კი ეხლავე მის მიერ შემოწირულს მამულს ვყიდით, ეს არ იქნება ლამაზი, ამიტომ ჩემი აზრია მამული არ გაიყიდოს“. კრებამ ტაშის ტყვით დააჯილდოვა ორატორი და ერთხმად მიიღო ასეთი ფორმულა.

**ლადო ბზვანელი.**

(შემდეგი იქნება).

## ქუთაისის ძველი საქველმოქმედო საზოგადოება

20 წლის წინათ, ქ-ბ. პოლკოვნიკლევის თაოსნობით ქუთაისში საქველმოქმედო საზოგადოება დაარსდა. თავდაპირველში ეს საზოგადოება, ყველას ყურადღებას იპყრობდა და ქონებაც კი შეიძინა. ასე, მაგალითათ, საზოგადოებას ამ ქამად

## „ყოვლის მხრიდან“.

### (შინაური საქმეების გამო).

აწ უკვე გარდაცვალებულ ქართველ მწერალს ნიკო ლომოურს, სხვათა შორის, ერთი საყურადღებო მოთხრობაცა აქვს დაწერილი. ამ მოთხრობას ჰქვია „**ყოვლის მხრიდან**“.

საყურადღებოა ეს მოთხრობა არა მარტო იმითი, რომ ზედმიწევნით აგვიწერს სოფლელთა გაჭირვებასა და ჭირნახულობას, არამედ შესანიშნავია იმითაც, რომ აგი თითქოს სამბოლოა ქართველ გულ-წრფელ და უნაგარო მოღვაწისა თუ დაწესებულების მოქმედება—მდგომარეობისა.

„ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, შრომისაგან წელში გატეხილმა გლეხმა—ანდრიამ სიამოვნებით გადაავლო თვალი თავის მობიბინე ყანა-ვენახს და გულში იმედის სხივი ჩაუდგა, დაღარული შუბლი გაეხსნა, დანაოჭებულ სახეზე ღიმი გადაეკრა.

— მოვმკი, მოვისთვლი და ოჯახს გავახარებო!—ჰფიქრობდა ანდრია და ოცნებას მიეცა.

— აბა, შვილო, რას ანბობ, განა დრო არ არის ი შენი შვილის სამკვდრო მომცე? შემოესმა მღვდლის ხმა.

ანდრია ოცნების მთიდან დაგორდა და ნაღვლიანათ უთხრა:

— მოგართმევ შენი მადლი არ გამიწყრეს, მოგართმევ! აი მოსავალი კარზე მოგვდგომია... გავლეწამ და ან პურათ მოგართმევ, ანარა და გავყიდი და ისე გადავიხდი მაგ ვალს...

მღვდელმა საქმე მაინც წინ წაიგდო: სარგებელში მსუქანი ბურვაკი წაართვა.

— დილა მშვიდობისა არუთინ, დილა მშვიდობისა შამოელ! მიესალმა ანდრია თავის მოვალეებს, რომლებიც მოულოდნელათ თავზე წამოადგენ...

მ მოვალეებს გლეხის სალამი კი არ ეპრიანებოდათ, ვალის ერთი ორად გადახდევინებას ლამობდენ.

— წელს კი უსათუოდ გაგისტუმრებთ, არუთინ... შამოელ! რას გემართლებით, შვილოსან! ხილი, ღვინო, პური დიდძალი მოდის წელსა, გავყიდი და თავნსაც ჩავაბარებთ და სარგებელსაცა.

ასე დაიმედა გლეხმა ანდრიამ თავისი მოვალეები, რომლებიც ბუზღუნით გაუდგენ გზას. ეს იყო დილით. შუადღისას კი ცამ მოიღრუბლა, ასტყდა საშინელი ქარი და წვიმა, ამას მოჰყვა საზარელი სეტყვა და ისე ჩარეცხა მთელი ხეობა, რომ ბალახიც-კი აღარ გადარჩა, არამც თუ ყანა-ვენახი გადარჩენილიყო!..“

დარჩა საწყალი გლეხი შავი ფიქრების ამარა, დამაშვრალი, დამცირებული, განუსჯელი, განუკითხველი!

ყოვლის მხრიდან მოვლენილმა უბედურებამ ოცნება გაუფრთა, სიცოცხლე უარესად გაუმწარა.

ლამის ამ უბედური გლეხის მდგომარეობაში ჩაგვაყენოს ჩვენც უკუღმართმა პირობებმა.

დიდის ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით გამოვაწყვეთ გაზეთის დაარსების საქმე.

ბევრი დამცირება და აუტანელი ტანჯვა-წვალები გამოვიარეთ.

ბევრ ულირსთაგანსაც კი გავეგეთ ფეხ-ქვეშ. უვიცი გავიბატონეთ, მეცნიერს მუხლებზე მოვეხვიეთ.

ვუმტკიცებდით გაზეთის დიდმნიშვნელოვანებას.

განა თითონაც არ იცოდენ, მაგრამ შეძლებულებსა და ჯიბიანებს უყვართ ხოლმე, როცა მუშა კაცს იხვეწებენ: იქნება ამის ხელით ნარი მოვგლიჯოთო!...

ჩვენ რომ ზოგიერთ ჩვენებურ „სოციალისტის“ ქონება გვქონოდა არც არავის შევეხვეწებოდით და აქამდე წიგნაკებითა და ჟურნალ-გაზეთებით მოვრწყავდით მთელ საქართველოს თუ არა, ქუთაისის გუბერნიას მაინც, მაგრამ...

ხელ მოკლეობას სურვილის შეკვეცაც მოსდევს, ხმა-დაბალს, ხმა მაღალი თავზე გადააყვირებს ხოლმე...

ხელ მოკლეობის გამო, მოკრძალებით შევუდექით გაზეთის გამოცემას.

ორი სამი კაცი დღე და ღამეს ვასწორებდით. **მახლობელნი** თითქოს ვერა ხედავდენ ჩვენ ჭაპან წყვეტას, **შორეულნი** კი ეჭვისა და კრეჭის თვალით შემოგვყურებდენ.

მაგრამ ჩვენ ვიცნობთ ქართველ ხალხს, ქართველ მკითხველს, ჩვენ გვრწამს მისი გულმოდგენობა ქართველობისადმი, ჩვენ ვიცით რომ მას სიცოცხლე სწყურია, სიცოცხლე ლაღი, თავისუფალი, ქართველური; სიცოცხლე სახელოვანი, სამართლიანი, პატიოსნური...

ჩვენ გვესმის ქართველთა ხალხოსნური, მრავალ-საუკუნოვნით შექმნილი ფილოსოფია, ჩვენ ვგრძნობთ, გვწამს რომ „საქართველო არ მომკვდარა, ეხოლოდ სძინავს“ და ვიცით რომ ქართველი ხალხი გაღვიძებას ესწრაფვის.

მას სჭირია მხოლოდ გამღვიძებელი! მყვირალა, შლეგიანი, ხელჯოხიანი გამღვიძებელი კიარა, არამედ წყნარი, **დაძინებულის** მოყვარული-მისი გამოფხიზლებისა და არა გადარევის მსურველი.

მოგეხსენებათ, რომ გულის ძილში მყოფს უკბად რო თავს დასჭყივლოთ, ფეთიანივით ჰამოიჭრება ზეზე და დიდხანს დარეტიანებულივით აქეთ იქით იყურება ხოლმე...

ჩვენ დიდათ ვერდ ავუმადლებთ დაძინებულის ასეთ გამომღვიძებელს.

არ მოგვწონს ჩვენ არც მობუზღუნე გამღვიძებელი, რომელიც ასიათასჯერ დაგაყვედრით „მე რომ არ ვყოფილვიყავ, ძილში სული ამოგივიდოდაო. მაშ, მეყმე და მიბატონეო!..

ჩვენ არ მივსდევთ არც ერთ „ცნობილ მიმართულებას“.

ჩვენ გვინდა გავაღვიძოთ ქართველი ხალხი ბუნებრივათ, მისი ისტორიისა და მომავლის შესაფერათ. ჩვენ გვინდა „მოხილმა მშობელს“ უთხრას სიტყვა სწორი და მართალი, დაუფასოს მას ამაგი და ჭირნახულობა...

ჩვენ ვიცით, რომ მშობლებს უყვართ გონიერი და სამართლიანი შვილები და ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ ღირსეული მომვლელი ვიყოთ ღირსეულის მშობლისა...

როგორც ხედავთ სულ უბრალო, მდაბიო ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, მაგრამ ეს ჭეშმარიტება ქვა-კუთხედია ქართველი ხალხის არსებობისა და მომავლისა, ჩვენი ხალხი გრძნობს ამას და ნეტავ იმას, ვინც დაუახლოვდება ხალხის გულის წიაღს, ვინც ხელში დაიჭერს ამ უმთავრესს ტამარს (ნერვს) ხალხის გულისთქმისას!..

ჩვენ არ გვინდა (და არც საჭიროა) ციდან ვარსკვლავების ჩამოკრეფა, მაგრამ ჩვენი ოჯახის დაგვადასუფთავება კი ჩვენ უპირველესს მოვალეობათ გაგვიხდია...

ხალხსაც უყვარს მისი მოამაგე შვილი. დედ-მამას ურჩევნია მშრომელი და მუყაითი ქალიშვილი, ვიდრე ყველას მოარშიყე და თვალწარმტაცი კეკლუცი!..

ჩვენ კარგად გვესმის ჩვენი ძალღონე, მაგრამ ისიც ღრმათა გვწამს, რომ ჩვენ სუსტ ძალ-ღონეს არ უგულებელ ჰყოფს ჩვენი მშობელი...

და ეს რომ ვიცოდით და გვწამდა სრულის იმედით შევუდექით გაზეთის გამოცემას. მართლადაც არ გასულა ბევრი დრო, რომ მკითხველმა ყურადღება მოგვაქცია და საქმე მკვიდრ ნიადაგზე დგება...

მაგრამ... აქ იჩინა თავი „შინაურმა“ უთანხმოებამ.

ცნობილია, რომ ჩვენ ევროპ წოდებულ ოფიცერალურსა, თუ არა ოფიციალურ მოღვაწეთა უმრავლესობას ერთი დიდი სენი სჭირს.

— ნუ ეტყვი მართალს და თუნდ მოჰკალი!..

თუ მართალი სთქვი? ცხენი უნდა შეკაზმული გყავდეს და მაშინათვე მოჰკურცხლო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს მამული ქუთაისში, ღირებული 25—30 ათას მანეთად, სახელმწიფო ქაღალდები, ღირებული 4800 მანეთად და მომგებიანი ბილეთი პირველის სესხისა. მიუხედავათ, შედარებით ასეთ მატერიალურ უზრუნველყოფილობისა, საზოგადოების საქმე შემდეგში კარგად ვერ წავიდა. წევრებს გული აუცრუვდათ საზოგადოებაზე და საქმე იქამდის მივიდა, რომ 1914 საანგარიშო წელს საზოგადოებაში მხოლოდ **სამი** წევრი ირიცხებოდა. ცხადია, საქმის ასეთ დაბოლოვებას საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხი უნდა მოჰყოლოდა. შეუძლებელიც არის ისეთი საზოგადოების არსებობა, რომელიც მხოლოდ სამი კაცისაგან შესდგება, იმ დროს, როცა წესდების ძალით მარტო გამგეობის შემადგენლობისათვის არის საჭირო ათი კაცი.

20 ივნისს ქალაქის საბჭოს დარბაზში ამ საზოგადოების კრება უნდა მოხდეს. ჩვენ გავიგეთ, რომ ამ კრებას აზრათ აქვს საზოგადოების ლიკვიდაცია მოახდინოს. რაკი ასეა და რაკი საზოგადოება ასეთის ბუნებრივის წესით ათავებს თავის არსებობას, ჩვენ გვსურს ერთი რჩევა მივსცეთ მას. რაკი საზოგადოება ლიკვიდაციის დროს ვალდებულია წესდების იმ მუხლის ძალით ისარგებლოს, რომელიც ამბობს, რომ—**„საზოგადოების თანხები ლიკვიდაციის შემდეგ ადგილობრივ ქველმოქმედებას უნდა მოხმარდესო“**—კარგი იქნება საზოგადო კრება ამ ფორმულას ისე განახორციელებდეს, როგორც ამას სადღეისო ინტერესი მოითხოვს. წესდებაში მოხსენებული სავალდებულო მუხლი ლიკვიდაციის შესახებ, შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ საზოგადოებამ თვით მოახდინოს რეალიზაცია თავის მამულისა და ერთ-დროულ საქველმოქმედო აზრით გამოიყენოს ეს თანხა. მაგრამ ასეთი ზომა სასარგებლო არ იქნება. ჩვენის აზრით უკეთესი იქნება, რომ საზოგადოებამ თავისი ქონება რომელსამე თავის მსგავს საზოგადოებას გადასცეს. ასეთ მსგავს დაწესებულებათ მიგვაჩნია ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება. ეს არც წესდების წინაამდეგი იქნება და ქონებაც საიმედო ხელში გადავა, რადგანაც ქუთაისის ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ცოცხალი საზოგადოებაა, ხალხიც სიმპატიით ეპყრობა და წევრებიც ბლომათ ჰყავს, ამ საზოგადოებამ უკვე გამოიჩინა ფხა და ასეთი ახალი შეწირულება უჭვად გაამდიდრებს მის ქონებას.

კარგი იქნება, თუ სალიკვიდაციო კრებაზე ძველი საქველმოქმედო საზოგადოება ამით იხელმძღვანელებს.

---

გაზ. „სამშობლოს“ რედაქციის კანტორა მოაგონებს, თავის წლიურ ხელის მომწერლებს, ვისაც სრული ნახევარი წლის გაზეთის დასაკეთი ფული არ შემოუტანია წარმოადგინოს კანტორაში 1 ივლისამდი, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ივლისიდან გაზეთის გზავნა მოესპობა.

---

## შერეული კომისია.

ეგრე წოდებულ კომისიის დადგენილებით სავაჭროები ზაფხულობით იღება დილის რვა აათზე და იხურება საღამოს რვა საათზე, რაც მოუხერხებელია როგორც ნოქრებისთვის, აგრეთვე ხაზეინებისთვისაც, ვინაიდან ზაფხულობით დილის რვა საათზე ყველა პროვინციიდან მიმოსვლა დილის რვა საათამდის სწარმოებს. აგრეთვე ნოქრებიც უხერხულათ გრძნობენ თავს ვინაიდან იძულებული არიან სავაჭროების ახლო მახლო იყურყუტონ და ვერაფერს სულიერ მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებენ. ვინც კი გაითვალისწინებს ყოველივე ზემოხსენებულ პირობებს ყველა მიხვდება, რომ ამ დროში ვაჭრობის წარმოება ორივე მხარისთვის მოუხერხებელია ზაფხულობით. ჩემის ფიქრით, უჯობესი იქნება სამუშაო დრო განისაზღვროს დილის შვიდი საათიდან საღამოს 7 საათამდი.

ამ რიგათ ხაზეინებიც არას დაკარგვენ, ვინაიდან მუშაობის დრო ერთი და იგივე იქნება და ნოქრებისათვის ხელსაყრელი იქნება მით, რომ საღამოს შვიდ საათზე განთავისუფლდებიან სამუშაოდან და საშუალება მიეცემათ უფრო დააკმაყოფილონ თავისი სულიერი მოთხოვნილება.

ამის მოწესრიგება, მე ვგონებ, ყველაზე მეტათ ევალება აგრე წოდებულს შერეულ კომისიას, რომელშიაც შედიან, როგორც ნოქრები, ისე ხაზეინებიც.

---

არ ეტყვი მართალს და შენ გულით უნდა ატარო ის ჯოჯოხეთი, რომელსაც ორპოფობა და მისგან გამოწვეული ბოღმა ჰქვია.

მართლის თქმისათვის გაგვიჯავრდენ „შინაურნი“ და განზე გაგვიდგენ.

მართლის თქმისათვის „გაგვეფიცენ“ ასოთ-ამწყობები და ლანძღვა დაგვიწყეს*)...

მართლის თქმისათვის შემოგვწყრენ „გარეშენიც“ და აგვემრიზნენ...

პრინციპის გამო ვერ შევიძინეთ მამასისხლად ჩარჩისაგან იხრად ნაშოვნი ქაღალდი და...

დღეს გაზეთს ფერად ქაღალდზე ვბეჭდავთ...

ჩვენა გვრწამს, რომ ჩვენი მკითხველი არ გაგვიწყრება...

მას აინტერესებს სიტყვა ჩვენგან თქმული და არა ქაღალდი.

ჩვენა გვწამს, რომ ჩვენი მკითხველი ხელს მოგვიმართავს და საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ და გავაფართოვოთ ჩვენი გაზეთი.

დაე, იბუზღუნონ... ვინც სინათლეს ვერ ხედავს.

დაე, ჩამოგვშორდენ, ვისაც პირადი, კერძოობითი გულის თქმა ვერ შეუკავებია და გაზეთი „ქათინაურების ფურცელი“ ჰგონია.

დაე, „გაიფიცენენ“ ვისაც ვერ დაუნახავს, რამდენ მწუხარებას ვიტანდით მათ გამოსაკვებათ.

დაე, თავისი მკვდრები გაახვიონ გაზეთის ქაღალდში, ვისაც ჰგონია რომ ამითი ხელს შეგვიშლის და თავის ძალას გამოიჩენს...

ჩვენ უბრალო ქაღალდზედაც მივაწვდით ჩვენ გულის პასუხს ჩვენ საყვარელ მშობელ—საქართველოს და ნამდვილი მშრომელი ხალხი თავის დაკოჟრებული ხელებით იმდენათ გაგვამხნევებს, რომ დავთრგუნოთ გულ-ზვიადობა „ძლიერთა და ცბიერთა“ ამა ქვეყნისათა...

ხალხი, ქართველი მკითხველები, დააფასებენ ჩვენ მცირე შრომას და საშუალებას მოგვცემენ მიუახლოვდეთ ჩვენ ტანჯულ ქვეყანას და ვუთხრათ მას: დედავ მშობელო,

„თუ რომ უმსხვერპლოდ  
ვერ გაიხარებს ქვეყანა,  
ღმერთო, მიმიღე ზვარაკად  
ყელში გამერჭოს მე დანა!..

ჩვენ გვეშინია მარტო იმ სეტყვისა რომელიც სპობს ალალი მუშის ჭირნახულობას, თორემ თითო ოროლას ბუზღუნი და უკმაყოფილება მხოლოდ შეაფერხებს ალალ მუშას მაგრამ ვერ მოჰკლავს იმ იდეას, რომელსაც იგი ემსახურება.

მაშ, ხელი-ხელ ჩაკიდულებმა გავწიოთ, საყვარელო მკითხველებო, წინ, სულ წინ და ჩვენ მშობელს მოვწმინდოთ ცრემლი ტანჯვისა და მწუხარებისა...

შეიძლება კერძოთ ჩვენ ანდრია—გლესისავით დავრჩეთ შავი ფიქრების ამარა, დამაშვრალი და დამცირებული, მაგრამ თუ ჩემმა მართალმა სიტყვამ თქვენ გულამდე მოაღწია,—

„გულს ვერ გამიტეხს ჰღარა,  
და კვლავ გმირებს მოუხმობს  
ჩვენი დაფი და ნაღარა“.

**ია ეკალაძე.**

*) ვსარგებლობ შემთხვევით და მოვახსენებ ჩვენ ძველ ასოთ-ამწყობებს, რომ მე მზათა ვარ დაუმტკიცო მათ მათი უდიერობა. ამ დღეებში დავნიშნავთ მოსამართლეებს. ი. ე.

---

# ახალი ამბავი.

გუშინ, 18 ივნისს ჩვენს რედაქციას არ მიუღია რუსეთისა და თფილისის ჟურნალ-გაზეთები.

✦ ქუთაისის რკინის გზის სადგურის უფროსს დეპეშით ატყობინებენ, რომ 18 ივნისს თბილისიდან მომავალი დილის მატარებელი № 9 დაეჯახა ბარგის მატარებელს სად. მოლითსა და მარელსს შუა. ბევრი მსხვერპლია. დაწვრილებით შემდეგ.

✦ 17 ივნისს, ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში კიტა აბაშიძის თავმჯდომარეობით შესდგა დრამატიული საზოგადოების კრება, გამგეობის ასარჩევათ. კრებამ მდივნათ აირჩია აკაკი ფაღავა. დასასრულ ფარული კენჭის ყრით გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: ივლიანე ანჯაფარიძე, პავლე (ცაცა) მდივანი, ალექსანდრე კრინიცკი, შალვა სანებლიძე, მარიამ ლორთქიფანიძისა, სამსონ კილაძე და ელენე მეფისაშვილისა. მათ კანდიდატებათ კი: აკაკი ფაღავა, გრიგოლ ლადიძე და პავლე უზნაძე.

✦ წელს კურსებისა და ხრესილის (ოკრიბა) მინერალურ წყლებზე ქუთაისიდან დიდი საზოგადოება მიდის საზაფხულოთ. აბანოებთან იშოვება ყოველივე სანოვაგე.

✦ ძველი თბილისის პირველი შესახვევის მცხოვრებნი ჩივიან, რომ ეს ერთი თვეა ქუჩაზე ფარნებს აღარ ანთებენო. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

✦ დავით ლოლობერიძემ საფიჩხიის დავით კლდიაშვილის სამკითხველოს შესწირა 50 ცალი წიგნი თავის შეთხზული და გამოცემული.

✦ დ. აბაშიდან გვატყობინებენ, რომ აბრეშუმის პარკი ბევრი შემოდის, მაგრამ მყიდველები არავინ ჩდება და ამით წვრილი ჩარჩები სარგებლობენო.

✦ როგორც დ. ახალ—სენაკიდან გვატყობინებენ პარკის ფასი 10-13 მ.—ღი ადის.

✦ ნიკორწმინდის საზოგადოებისაგან (რაჭის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს. ახალგაზდობა მარტო ბანქოს თამაშში ატარებს დროს. საჭიროა ადგილობრივი ინტელიგენტები ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდენ.

✦ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ თანახმათ ოლქის მზრუნველის ცირკულიარისა დაადგინა დაენიშნოს 17 აგვისტოდან ხელახალი გამოცდები იმ მოწაფეებსაც, რომლებიც უკვე დატოვებული იყვნენ იმავე კლასებში და წლიური ცუდი ნიშნები მიიღეს. ამიტომ ვისაც სურს ეგზამენი დაენიშნოს, მოწაფის მშობლებმა თხოვნით უნდა მიმართონ გიმნაზიის დირექტორს.

✦ საფიჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს, შემდეგმა პირებმა გამოუწერა გაზეთები.

ერთი წლით „სამშობლო“ ნ. ახათიანმა, „ახალი აზრი“ ნ. ალფაიძემ, „სახალხო ფურცელი“, „საქართველო“ და ნაკადული ქ. შ. წ. კ გამავრ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ. „ახალი კვალი“ მინა ტყაბლაძემ. განათლება“, ნინო წერეთლის ასულმა, „განთიადი“ რედაქციამ დაუთმო, „თეატრი და ცხოვრება“ ს. ჭირაქაძემ. „სასოფლო გაზეთი“ ა. იომიძემ. „მათრახი“ პ. ლიბრაძემ, „Закавказская рѣчь“ დ. ბერძენიშვილმა, „Русскія Вѣдомости“ პ. ლიბრაძემ, „Кавказское слово“ მინდიაშვილმა, „Искра“ შანიძემ. „Огонекъ“ ბ. ბრეგაძემ და „Газета Копѣйка“ ე. ჭარხალაშვილმა.

✦ ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა კრება მოხდება შაბათს 20 ივნისს, საღამოს შვიდ საათზე, ქალ. გამგეობის ბინაზე. განსახილველი საგნებია: 1) ანგარიში 1913 წ.—1915 წლის ივნისამდი; 2) მოხსენება კომიტეტისა; 3) მოხსენება სარევიზიო კომიტეტისა, 4) წესდების მუხლის შეცვლა; 5) სხვა და სხვა საშუალების გამოძებნა წევრების გასამრავლებლათ და 6) არჩევა კომიტეტისა და სარევიზიო წევრებისა.

✦ თითქმის ზემო იმერეთის ყველა სოფლებიდან მოგვდის ამბავი, რომ წყალ დიდობასა და ნიაღვრებს სულ ერთი ანათ წაულეკია და გაუოხრებია ყანები და მოუტაცნია აუარებელი შინაური საქონელი.

✦ როგორც დ. ლანჩხუთიდან გვწერენ, ამას წინათ ქუთაისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ გაუგზავნა მღ. ეპიფანე ჩხაიძეს ერთი ვაგონი სიმინდი დამშეულ გლეხებისათვის დასარიგებლათ.

✦ შაბათს, 20 ივნისს, ქუთაისის საოლქოს სამართლოს სესია გაარჩევს ნიკოლოზ ჩხეიძის სისხლის სამართალს და ნესტორ ლორთქიფანიძის ერთ საქმეს.

✦ ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ვასო აბაშიძე ამ ჟამათ ავათ არის.

✦ ბაქოს ნავთის მრეწველთა საზოგადოებას გადაუდევს ჩვენ მოძმე აჭარლების სასარგებლოთ 5000 მ. აჭარაში ქსენონის დასაარსებლათ.

ამ საქმისათვის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას სთხოვს შეატყობინოს, რომელ სოფელში უფრო საჭირო არის დახმარება.

✦ გიორგი მიხეილისძე წერეთელმა გადასცა სეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას ერთი რკინის შუბი და ერთი ზღვის ქვა, რომელნიც აღმოჩენილია გამონგრეულ სავლაუში ს. მექვენაში.

✦ როგორც ს. მექვენიდან (ლეჩხ. მაზრა) გვწერენ, წარსულ დღეებში გაუმართავთ წარმოდგენა ადგილობრივ მომავალ წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ; წარმოდგენას ხალხი ცოტა დასწრებია. აქაურ ინტელიგენტებს აზრათ აქვთ ახლო მომავალში შუამდგომლობა აღძრან ქ. შ. წ. გამავრცელებელ ქუთაისის განყოფილების წინაშე, რათა თავისი მხრით იშუამდგომლოს ბ ნ გუბერნატორთან სამკითხველოს გახსნის შესახებ.

✦ ამ დღეებში ერთი გავლენიანი წრე საზოგადო მოღვაწეებისა წარუდგენენ ქუთაისის გუბერნატორს წესდებას „განათლება“-ს სახელით. დამტკიცებისთანვე აზრათ აქვთ დააარსონ საზოგადოება რომელიც შეეცდება ქუთაისში ქალთა ქართულ გიმნაზიის გახსნას.

---

## რედაქციისაგან.

რადგანაც ბატონ პეტრე იოსების მე გოკიელს, რომელიც ეს მეექვსე თვეა უფულად სინიდისიერ ფასებში გვითმობდა გაზეთის ქაღალდს, ქაღალდი გამოელია და წინდაწინვე ჩვენთვის დაბარებული ქაღალდი კი ჯერ არ მოსვლია, ჩვენ იძულებული ვართ ხვალიდან, 18 ივნისიდან ჩვენი გაზეთი დავბეჭდოთ ფერადსა და ცოტა პატარა ზომის ქაღალდზე.

არის მეორე მაღაზია ქუთაისში მაღაზია დავით იჯანეს მე ოცხელისა, რომელსაც აქვს გაზეთის თეთრი ქაღალდი, იმამდე შემენილი.

ამ ქაღალდს ჩვენ უწინ ვეიდულობდით 3 მ. 40 კ. **ოზმას** ახლა კი,—ეს ორი დღეა,—იმავე ქაღალდში გვახდევინებს **ოზმაში** შვიდ მანეთს, ე. ი. თუ ბ-ნი პ. გოკიელი გვართმევდა დღეში, ერთი ნუმრის სამეოფ ქაღალდში—ოთხ ოზმაში—14 მანეთს და 40 კ. დღეს ამდენსავე ქაღალდში დავით ი. ოცხელი გვართმევს დღეში 28 **მანეთს** როგორ ხარჯებსაც ვერც ერთი ჩვენებური რედაქცია ვერ გაუძლებს.

ყველა უნივერსალურ მოსაზრებისა და ვაჭრებისაგან [illegible] როცა ვითომ კულტურული დაწესებულება „წიგნის მაღაზია ოცხელისა“ ასეთ ჩარჩობას სჩადის ჩვენ არშეგვიძლია არ გამოვუცხადოთ ჩვენი უღრმესი პროტესტი და ზურგი არ შევაქციოთ*)

ვსთხოვთ ჩვენ მკითხველებს დასდონ თავისი მჯაჯერი ბ-ნ დ. ოცხელს, როგორც ვაჭარს, და ჩვენ კი დროებით გვაპატიონ უნებლიეთი ბეჭდვა ჩვენის გაზეთისა ფერად ქაღალდზე, ვეცდებით მკითხველებს დანაკლისი აუნაზღაუროთ.

---

## არქიერის გორა.

ყველამ იცის ეს ისტორიულათ დიდებული, შესანიშნავი და გეოგრაფიულათ მშვენიერი, თვალწარმტაცი და მომხიბლავი, საუკეთესო კუთხე ქალაქისა-არქიერის გორა. ყველა აფასებს მას. თვით შორეული განათლებული ევროპიელიც ამ ადგილს აღტაცებაში და გაკვირვებაში მოჰყავს. აქ დვას ჩვენი დიდება—ბაგრატის ტაძარი, რომლის ნანგრევი კედლები მედგრათ გაიძმოგვძახებს: „აქ ვდგევარ მარტო უშეზობლოთ, ვდგევარ ლიტონი, თანაც ვარ თქვენი მბრძანებელი, თქვენი პატრონი“. აქ არის შეუბრალებელ მტრისგან დანგრეულ დალეწილი მამაპაპათა ციხე და უკანასკნელათ აქ არის ისეთი წერტილი, საიდანაც იხედება საუცხოო ბუნება საქართველოსა. აქიდან მოჩანს აჭარისა დანაქრალას ამწვანებული მთები, იქით მუდმივ თოვლით მოსილი ხვამლი, რომელიც უგზავნის ხსენებულ ადგილს ცივ, წმინდა და სუფთა ჰაერს. ერთი სიტყვით, ეს კუთხე საუკეთესო კუთხეთაგანია, არა მარტო ქ. ქუთაისში, არამედ მთელ საქართველოში. მაგრამ მიუხედავათ ასეთ მის ყოველ-მხრივ სიმშვენიერისა, ჩვენგან ქართველებისგან, მის ბატონ-პატრონისგან და განსაკუთრებით ქალაქის მამებისგან, არც ერთი კუთხე არ არის ისე უპატრონოთ, უყურადღებოთ და არარაობათ მიგდებული, როგორც არქიერის გორა. არა ერთჯერ და ორჯერ ითქვა ესგარემოება გაზეთის ფურცლებზე, არა ერთჯერ და ორჯერ ახმაურებულან ამის შესახებ, მაგრამ ამაოდ. ხმა მათი მუდამ რჩებოდა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მე აქ არას ვამბობ, როგორია აქაური მცხოვრებლების ანტისანიტარული პირობები, არ ვამბობ არც იმ ფარნებზე, რომლებიც ნახევარ ვერსზე დაცილებული ძლივსღა ბჟუტავენ. არას ვამბობ არც აქაურ ქუჩებზე, რომლებშიაც გაყრილ გასროლილია აუარებელი ქვა და სავსეა ნაკელით და ათასნაირი სიბინძურით, არ ვამბობ არც ამ შეუფერებელ ადგილს ზოგიერთ მცხოვრებლების ნაკელით სავსე ეზოზე, რისთვისაც ამმიზეზით ქუჩებშიაც საშინელი აყროლებული სუნი სდის—ამაზე ბევრი დაიწერა. მე მინდა მხოლოდ ორიოდე სიტყვა ვსთქვა და მივაქციო მამების ყურადღება იმ ნანგრევ ციხეზე, რომლის დაცვისთვის თავდადებულათ იბრძოდენ ჩვენი ძველები და რომელიც ახლა მათ შვილებს, უპატიურ, ცხოველების საჯიჯგნელ ადგილათ გაუხდიათ. ბატონებო, მარტო სირცხვილია! ამ ადგილის სანახავათ და დასათვალიერებლათ მრავალი ევროპიელი მეც-

*) 9 ოზმაში, ნაცვლად 33 მან., რომელსაც ბ. გოკიელოვთან ვიხდიდით, ბ. ოცხელმა გამოგვართვა 63 მან. დახმარებაც ასეთი უნდა?! ე. ი. ოცხელმა ორ დღეში 30 მან. მეტი წაიღო და, რასაკვირველია, ასეთს ზედმეტ ხარჯებს რედაქცია ვერ აიტანს, რისთვისაც, ვიმეორებთ, იძულებული ვართ ჯერჯერობით გაზეთი ვბეჭდოთ ბ. გოკიელოვისაგან დათმობილ ფერად ქაღალდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერები ამოდიან. სადაა ჩვენი თავმოყვარეობა მაინც. ის ადგილი, სადაც ერთ კუნჭულს ვერ იპოვით, რომ მამაპაპათა სისხლით არ იყოს მორწყულ დანთხეული, ის ადგილი, რომელიც ჩვენ, როგორც მათ შვილებს წმინდათა-წმინდათ უნდა მიგვაჩნდეს თამამათ დათარეშობენ ხარები, ძროხები, ღორები, თხები და აბინძურებენ და ახდენენ იქაურობას.

მივმართავ ქალაქის მამებს ერთი მაინც ამოისეირნონ აქეთ, საკუთარი თვალით იხილონ მდგომარეობა ამ კუთხისა და თვითონვე დარწმუნდნენ-როგორ საჭიროებს მათ არქიერის გორა. საჭიროა რამეფერათ მსგავსათ ტაძრის გალავანისა,—შემოკავდეს ციხის გალავანიც, გაიწმინდოს ადგილი და აეკრძალოს აქაურ მცხოვრებთ ზედენა შიგ ცხოველებისა, რომ მამაპაპის დროს მტრებისგან განადგურებულ შენობას თუ არ ავაშენებთ და გავაკეთებთ, ქვ მაინც ნულა წავახდენთ...

**სურო.**

## დაბა-სოფლები.

**ს. რომანეთი.** ეს სოფელი მდებარეობს რიონ-გაღმის კუთხეში, ქუთაისიდან 32 ვერსის მანძილზე და ეკუთვნის უხუთის საზოგადოებას; მდებარეობა მთა გორიანი აქვს, ჰაერით ჯანსაღია და მიწის ნიადაგი საკმაოდ ნაყოფიერი. აქაურ მცხოვრებლებს საყანე ადგილები რიონის ჭალებში არა აქვთ, არამედ იქვე მაღლობში, ეზო-ვენახების მახლობლად. ამ საზოგადოებაში ჩამოდის ორი მთის გრიმიკი მდინარე „კვინის წყალი" და „ძულხურა", რომლებიც დიდი წვიმებისა და ნიაღვარებისა გამო 15 ივნისს ისე გადიდა, რომ მთელ საზოგადოებას დიდი ზარალი მისცა: წისქვილები ყველგან წაღეკა, და შემდეგ ნაპირებიდან გადასულმა წყალმა და მთიდან ჩამოსულმა ნიაღვარმა ნათესებია და ყოველ გვარი ქ-ნახული სულ ერთიანად მოსპო. ასეთი ზარალი ნიაღვარისაგან ჯერ აქაურებს არ ახსოვთ; სიმშილობა უხუთლებისათვის აუცილებელია. ზარალის აწერა შეუძლებელია, რის გამო საჭიროა სათანადო მთავრობამ გამოგზავნოს მცოდნე პირები, რომლებიც თავისი თვალით ნახავენ და გაითვალისწინებენ სოფლელების უბედურებას, ამასთანავე ამავე რიცხვს მეხმა დაანგრია რომანეთის წმ. გიორგის „ზეგარდლის" ეკლესია, რითაც დაზარალებულ ხალხს კიდევ მოუმატა ზარალი 400 მანეთამდი. ნიაღვარმა შინაური საქონელიც გაიტაცა და დაარჩო, დღეს რედაქციაში შემოვიდნენ უხუთის საზოგადოების მცხოვრებლები ოქროპირ ხურციძე და ალ. ხელაძე, რომელთაც მიამბეს ეს სამწუხარო ამბავი.

**ლ. ბ—ლი.**

**ბელაგორი.** (ზემო იმერეთი). სამი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც აქ არსებობს მომრიგებელი სასამართლოს განყოფილება. განყოფილების მართველი ბ. ს. ჩხეიძე დროებით ომის გათავებამდე გადაიყვანეს სამტრედიაში და მისი მოვალეობის ასრულება დაეკისრა ყვირილის სასამართლოს მსაჯულ ბ. შახაზიზს, რომელიც ყვირილიდან დაიარება ბელაგორში. საქმეების გარჩევა კვირაში ორჯერ არის დანიშნული ორშაბათ-შაბათობით. ამგვარმა მოწყობამ ხალხი ძლიერ შეავიწროვა, რადგანაც ბ. მსაჯული ბელაგორში 12 საათამდი ვერ მოდის, რის შემდეგაც საქმეების მართვა საღამომდი გრძელდება. რომ ბატ. შახაზიზი მობრძანდებოდეს ხოლმე დილის მატარებლით, რომელიც ბელაგორში მოდის ოთხ საათზე და როგორც უწყებაშია ნაჩვენები იმ დროიდან დაიწყებდეს საქმეების გარჩევას, მაშინ ხალხს აღარ მოუხდება საღამოს რვა საათამდე მისი ცდა. ამ გაჭივრებას კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ ბ. შახაზიზი ადგილობრივ ღებულობდეს თხოვნებს. მომჩივნებს უბედებათ თხოვნების გაგზავნა ფოშტით ყვირილაში, რაც ზედმეტ ხარჯს იწვევს და ბევრი მომჩივანი იძულებულია საჩივარს თავი დაანებოს შეუძლებლობის გამო.

სასურველია, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ბ. ფლოროვი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას და დაავალებდეს ბ. მსაჯულს თხოვნების ადგილობრივათ მიღებას.

---

ადამიანების მოტაცება ამ დალოცვილ კუთხეში ჩვეულებრივ სენათ გადაიქცა. ეს რაინდები იტაცებენ დიდსა და პატარას. ბელაგორის რაიონი ამნაირ რაინდებისაგან თავისუფალი იყო დღემდე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლიკიანობის ხანას, დღეს კი ამ ვაჟბატონებმა აქაც იჩინეს თავი. პარასკევს, 12 ივნისს, ნაშუადღევს ექვს საათზე ვილაცა ბოროტ-მოქმედებმა გაიტაცეს სოფ. საქარიქედზე (ბელაგორის რაიონი) მცხოვრები ვაჭრის კოსტანტინე მდინარაძის 10—11 წლის ვაჟი. ამ ვაჟბატონების აღმოსაჩენათ სასტიკი ზომებია მიღებული და, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მათ კვალსაც მიაგნეს. ნეტავი როდის მოეღება ბოლო ამისთანა ვაჟბატონებს თარეშს, რომ ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქოს.

**ფილთაძევ.**

## მოწოდება.

კორბოულის საზოგადოების ინტელიგენტთა და კულტურულ დაწესებულებათა გულშემატკივარ პირებთადმი:

ყველას კარგათ უნდა მოეხსენებოდეს, თუ როგორი ღარიბი არიან საქართველოს ყველა კუთხის სოფლები კულტურულ დაწესებულებებით და, თუ სადმე, რომელსამე სოფლებში მოიპოვებიან იგინი, რამდენ სიფრთხილეს, შრომა-გარჯილობას და ხარჯს მოითხოვს იმათი ჯეროვანათ მოვლა პატრონობა, რომელი პატრონობაც 1-2 პირისაგან ყოვლად მოუხერხებელია და თითქმის შეუძლებელიც. ამიტომ სულითა და გულითა მოვუწოდებ კორბოულის საზოგადოებაში მყოფ ყველა ინტელიგენტს და შეგნებულ პირებს ორივე სქესისას, და იმ პირებს, რომელნიც კორბოულიდან გასულები არიან, რომელთაც აინტერესებთ კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებების სოფლად დაარსება და მათი კეთილ წარმატებითი აღორძინება, რომ ჩაეწერონ წევრებათ კორბოულის განზრახულ წრეში, რომელ წრესაც ევალება ჯეროვანი ხელის შეწყობა სოფ. კორბოულში არსებულ კულტურულ დაწესებულებებისა და აგრეთვე ახლების დაარსებაში. მაგალითად: გამონახვა საშუალებისა, რომ კორბოულის საკრედიტო ამხანაგობას და წიგნ-სამკითხველოს ჰქონდეს საკუთარი შენობა, რომელ შენობაშიაც უნდა მოთავსდეს თეატრისათვის ცალკე ოთახი. დაარსება კორბოულშივე მომხმარებელი საზოგადოებისა (სავაჭრო—საამხანაგო დუქნისა), რომელიც მეტად საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებთათვის, კორბოულშივე არსებულის აფთიაქის სასოფლო საამხანაგო აფთიაქათ გადაქცევა, ხალხისათვის სალავათიანი პირობებით. კორბოულში საფოშტო პუნქტის დაარსება ხაზინის ხარჯით. დაარსება კვირა-უქმე დღეებში მაზრობისა (იარმუკისა), ორკლასიან შკოლასთან, დაარსება სამეურნეო განყოფილებისა და გავრცელება სამეურნეო ცოდნათა და სხვათა...

მღვდ. **ვლადიმერ მაჭარაშვილი.**

## თეატრი და ხელოვნება.

**დ. ხაშური.** შოთაძისა და ზარდალიშვილის გასტროლია. ხაშურის ქართ. დრამ. წრემ საზაფხულო სეზონისთვის მოიწვია მსახიობი იუზა ზარდალიშვილი და შოთაძის ქალი. სეზონი გაიხსნა შაბათს, 13 ივნისისთვის. წარმოდგენილი იქნა „სიმახინჯე" დრ. ოთხ მოქ. ნ. შიუკაშვილისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქ.ქ. ა. შოთაძე, ციმაკურიძე, აფხაზიშვილი და ქეთო კალანძე; ბ.ბ. ი. ზარდალიშვილი, ვეზირიშვილი, კვალიაშვილი, სულიაშვილი, ძნელაძე, ძიძიგური და კალან დარიშვილი.

პიესის მთავარ როლს (საბას) თვით ბ. ზარდალიშვილი ასრულებდა. ზარდალიშვილი ეს ისეთი პიროვნებაა, ისეთი ამაყი სახე, რომელიც ძლიერი ინსტინქტით და მტკიცე ნებით არის დაჯილდოვებული. მან უნაკლოთ დაგვისურათ-ხატა საზიზღარი „საბას" პიროვნება, რომელნიც გიჟურ ლტოლვილებით არის აღგზნებული და ყოველი ფეხის გადადგმაზე იმას ლამობს, რომ თავისი მახინჯი, საზიზღარი და უბადრუკი ხელში ჩაიგდოს, ჯერ ნორჩი, გაუფურჩქნელი სონას სული. „დარეჯანის" როლს ასრულებდა ქ. ციმაკურიძე. ამ ნიჭიერ მსახიობ ქალს „დარეჯანის" სულის უკანასკნელი კუნჭულიც არ დარჩენია შეუმჩნეველი. ზედმიწევნით ყავს შეგნებული ფლიდი და მაცდური „დარეჯანი" და ამიტომ, ყოველი მისი სიტყვა, მიმიკა, მიხვრა მოხვრა, კარგათ იყო შესრულებული.

ქ. შოთაძისგან უფრო მეტს მოველოდით. იმ ღამეს ვერ თამაშობდა ისეთი მგრძნობიარეთ, როგორც მას შეეფერებოდა. მიუხედავათ ამისა, ნაკისრ როლს გვარიანად თამაშობდა.

ბ. ვეზირიშვილმა კარგათ ჩაატარა „თომას" როლი, მხოლოდ ცოტა მიხვრა-მოხვრისთვის რომ ეცდო ყური, უფრო კარგი იქნებოდა. კარგათ და წინდახედულათ თამაშობდა ბ. ძნელაძე „ვანოს" როლს.

აგრეთვე აღსანიშნავია ბ. კალან დარიშვილი, გიმნაზიელის როლში. თუმცა ეს წვრილმანი როლია, მაგრამ ახალგაზდა სცენის მოყვარეს არ დაუტოვებია უმნიშვნელოთ და მისი მოხდენილ თამაშით საზოგადოება დიდ აღტაცებაში მოვიდა.

რაც შეეფერება დანარჩენ მოთამაშეებს, ესენი ყველა თავ-თავის ალაგს იყვენ და ნაკისრ როლებს ჩინებულად ასრულებდნენ.

საერთოდ, პიესას ნიჭიერი რეჟისორის ხელი ეტყობოდა. წარმოდგენამ, შეიძლება ითქვას, უდიდეს ეფექტით ჩაიარა და მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო და ნასიამოვნები ღამის $12\frac{1}{2}$ საათზე დაიშალა.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ მოწაფეებთათვის ბილეთებს ძალიან ძვირად ყიდიან, რის გამოც უმეტესი ნაწილი ვერ ესწრება ხოლმე წარმოდგენას.

**თრთოსანი.**

## სასამართლო.

13 ივნისს, ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია მღ. მიხეილ ჩიქვანიძის—დიმის საკრედიტო ამხანაგობის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის საქმე. მას ბრალდებოდა სამსახურის ასრულების დროს წვრილი კრედიტის ინსპექტორის ბ. ჯაფარიძის სიტყვით შეურაცხყოფა. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო მღ. ჩიქვინიძე და სრულიად გაამართლა. ასეთი ბრალი ედებოდა გამგეობის ყოფილ თავმჯდომარეს ა. გეგეშიძეს, მაგრამ იმისი საქმე სასამართლომ ადრევე მოსპო, რადგანაც ბრალდება არ მტკიცდებოდა. ბ. ჯაფარიძე ჩვენ შეგნებული კაცი გვგონია და გვიკვირს, რისთვის ინება ამისთანა უსაფუძვლო საჩივრის აღძვრა ორი ღირსეული საზოგადო მოღვაწის წინააღმდეგ, რომელთაც სხვა კეთილ საქმესთან ერთად დაარსეს დიმის საკრედიტო ამხანაგობა და ერთ ხანს უანგაროთ და კეთილსინიდისიერად ემსახურებოდნენ მას.

**გამგეობის წევრი.**

## „წმინდა პეტრე" რაჭაში*).

მკითხველს გაუკვირდება ჩემი წერილის სათაური, მაგრამ აქ გასაკვირალი არაფერია. ნათქვამია: „უხეირო ქვეყანას ერთი სულელი ხელათ გადიიდა". ეს ის პეტრე გახლავთ, რომელმაც სოფ. ბოსლევის კლდეში გააკეთა კიბე იმ მიზნით, ვითომც კლდის გამოქვაბულში თამარ მეფის საფლავი უნდა აღმოჩენა. „გლახა მეთევზეს მოუვა უბრალოთ წყლისა მღვრევანა"—ამბობს ქართული ანდაზა. ეს ანდაზა სწორეთ პეტრეზე ასრულდა. რადგან პეტრემ გამოქვაბულში ვერაფერი აღმოაჩინა, დაიწყო ხალხში ქადაგი, ვითომც იმას ღმერთი ეცხადებოდეს და იგი უბრძანებდეს ანდე ხალხში ქადაგს. იქ სადაც პეტრემ კიბე გააკეთა, უზომო ხალხი იყრის თავს სალოცავათ. პეტრეც აცოცდება თავის გაკეთებულ კიბეზე გადმოდგებოდა გამოქვაბულ კლდიდან და უქადაგებდა ხოლმე ხალხს ათას ნაირ სისულელეს. ქადაგი გათავდებოდა თუ არა „პეტრე წმინდანი" ჩამოცოცდება კიბეზე, მას ეგებება ხალხი და ზოგი ჩოხის კალთაზე ემბორება და ზოგიც ჩუჩუან ახალოხზე. ქალები სთხოვენ: „დაგვლოცე პეტრე" იგიც ლოცავს მათ, სადღეგრძელოს მანეთიანებს იხვრიალებს პეტრე. ნაკლების მიცემას კი ვერავინ გაუბედავს, რადგან პეტრე ეუბნება მათ, ღმერთი როცა მეცხადება მეუბნება, სხილენძის ფული არ მიიღოთო. ამ დღეს ას მანეთზე მეტს გაჰკრავს ხოლმე ჩვენი პეტრე, ეს ხომ ფულათ, ოცდაათამდე ცხვარს შემოწირავს გაუძღვება პეტრე და ორ სამ ძარს ხავსე ხაჭაპურებს. ნუ გგონიათ პეტრე წმინდამ ეს ერთი დღე იკმაროს ხალხის საჩუქრებით, ის ყოველთვის დაძრწის სულ სოფლებით, სადაც იმ დროს მიდის, როდესაც სოფელში რომელიმე დღესასწაული უნდა გადაიხადონ. მან კარგათ იცის იმ დღეს სოფელში ბევრი სტუმარია და კარგი მასპინძლობაც იციან. სოფ. სორში ეხდიან დღესასწაულ „ნაცინურობას": ამ დღეს პეტრეც გაჩნდა სოფელში საქადაგებლად, აი რა მიამბო ერთმა მანდილოსანმა პეტრეს შესახებ:

— პეტრე მოვიდა თუ არა ჩვენს სოფელში, იგი ყოველ ოჯახში თამამად შედიოდა. ოჯახში შევა თუ არა, დაიწყებს წირვის მსგავსათ ლოცვას. იქ მდგომი ყველანი მუხლს იყრიან, პეტრემ ლოცვა გაათავა, ხალხი ზეზე წამოდგა და პეტრეს დახვედ ჩოხას მოწიწებით ემბორა. პეტრემ მანეთიანები ჩაიხრიალა. ერთ ოჯახში დაპურმარილდა, ახლა ის მეორე ოჯახს ეწვია, მეორე ოჯახშიც ის ტრაპეზი განმეორდა რაც პირველ ოჯახში. პეტრე წმინდანიანი შეზარხოშებული ერთ ოჯახში ისე გაკადნიერდა, რომ პატარძლებს ჩამოჰქვა და გადაკოცნა. როდესაც პატარძალმა საყვედური გაუცხადა, პეტრემ მიუგო: მადლი იესოსი გადმოვა შენზე. პატარძალი გაჩუმდა. საღამოს ჟამს ჩვენსას მოაწია პეტრემ, ჯერ ილოცა და ყველა დაგვახოცა, როცა ვახშამი მიირთვა, ფეხის გახდა დაუპირეთ, მან სთქვა, არა ჯერ არს ჩემი ფეხის გახდა, თუ მაცხოვარი არ მიბრძანებს, იგი გარეთ გავიდა, იქ კედლის კუთხეში მიიკუნტა რაღაც იბუტბუტა, შემოვიდა სახლში და სთქვა: „მომცა ნება ფეხის გახდისა მაცხოვარმა". ერთმა პატარძლის დედამთილმა შესჩივლა პეტრეს:

ბატონო პეტრე, მიშველე რამე, ჩემს შვილს შვილი არა ჰყავს, გვილოცე, ეგება გისმინოს უფალმა და შვილი ეღირსოს. მიუგო პეტრემ: „უკეთუ მაგ ქალს (პატარძალს) ერთი დღე და ღამე დავმწყვდევ ჩემს ოთახში, ვევედრო მამასა ჩემსა, რათა მაგ ქალს შვილი ეღირსოს". დაუჯერეს თუ არა პეტრეს ეს რჩევა, ეს ჩვენ აღარ ვიცით, უნდა გითხრათ, პეტრე ძალიან ერიდება ბაასს მასწავლებლებთან და მღვდლებთან, მან კარგათ იცის მას ხეირს არ დააყრიან და მის სისულელეს ქვეყანას აუწყებენ, ამიტომ ჩუმათ დაძრწის პეტრე ეგეც გლეხებში.

**ვანო შავჩინაძე.**

*) ვებეჭდავთ ამ წერილს მღვდლებისა და მასწავლებლების საყურადღებოთ, რადგანაც ასეთი პეტრეები სოფლათ ჯერ კიდევ ბევრი დათარეშობენ. მასწავლებლებისა და მღვდლების პირდაპირი მოვალეობაა ზედმეტი ყურადღება მიაქციონ ასეთს პირებს, მათი თარეშობა ალაგმონ სოფლათ და ხალხი გაანთავისუფლონ მათი გავლენისაგან.

**რედ.**

პასუხათ წერეთლის ასულს კონას.

თქვენ პატივცემული გაზეთ 108 ნომერში იბეჭდება ... ლია წერილი, კონა წერეთლის ასულისა, ამ სათაურით: „პატარა შანტაჟი".

პატივცემული ავტორი ქალი ამ წერილისა, უშვერი სიტყვებით გვიმასპინძლდება ჩვენ. რათა მკითხველი შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი, მოკლეთ გავაცნობთ პატივცემულ მკითხველს საქმის ვითარებას: ამ ერთი თვის წინათ იყიდა ჩვენს მაღაზიაში ქოლგა გამოჩენილი ვენიავის ქარხნისა, როდესაც ასეთ გამოჩენილ ფირმის საქონელს ვყიდით, დარწმუნებული ვართ მის სიკარგეში და მოტყუილებას აქ ადგილი არა აქვს. როდესაც ყიდულობდა კარგათ დაათვალიერა და ვერავითარი ნაკლი ვერ უპოვა, წაიღო სახლში და მეორე დღეს უკან მოიტანა, ფერი არ მომწონსო და გვთხოვა გამოგვეცვალა. ჩვენც დავთანხმდით.

წაიღო მეორე; რამოდენიმე დღის შემდეგ კიდევ მობრძანდა პატივცემული ქალბატონი და კიდევ გვითხრა ისევ ძველი ნაყიდი ქოლგა დამიბრუნეთო, ჩვენ თავაზიანათ მოვექეცით და ისევ პირველათ ნაყიდი გავატანეთ. ერთი კვირის შემდეგ შემოვარდა მაღაზიაში გაანჩხლებული, მოიტანა პირველათ ნაყიდი ქოლგა, რომელსაც ზევით ცოტა გაკაწრული (უფრო ძალით გახეულს გავდა, ვიდრე გამსკდარს) და მოითხოვა თავისი ფული უკან. ვისაც ვაჭრული ანგარიშის გაეგება რამე, მე მგონია, უსათუოდ დაგვეთანხმება რომ, ფულის დაბრუნება შეუძლებელი იყო. მოგვცეთ თქვენი პირი წაღლის მეთქი, მივმართეთ და რასაც ვგებდით იმ ქოლგაში შევთავაზეთ და ფულის დაბრუნებაზე უარი მოვახსენეთ; ეს ძალიან საწყენათ მიიღო, მოგვიგდო ქოლგა და დაქადებით გაუდგა გზას. ჩვენ რა საკვირველია უკან არ გამოუდექით, რადგან საზღვარი აქვს ყველაფერს...

როგორც ხედავთ ჩვენ აქ არაფერშუაში არა ვართ, ყველა მუშტრის კაპრიზი რომ შევასრულოთ, მაშინ მაღაზიის კარები უნდა გამოვკეტოთ, და უნდა ჩავერიცხოთ იმ მცხოვრებთა რიცხვში, რომელთაც უსახსრობისა გამო ლამის სული ამოსდით.

ყველა ზემომოთყვანილი ამბის გამო და პრესის საშუალებით შანტაჟისტის წოდების, ჩვენ ორივე ამხ. შეურაცხყოფილათ ვთვლით ჩვენს თავს, და ვიწვევთ სამედიატორო სამართალში წერეთლის ასულს კონას. თანხმობის შემდეგ ჩვენის მხრით მედიატორეებს ღავასახელებთ პასუხის ვადათ ვაძლევთ სამ დღეს დღეიდან გაზეთში გამოცხადებისა.

უკეთუ არ გამოგვყვება სასამართლოში, ნება გვექნება ვუწოდოთ თვით მას შანტაჟისტი ქალთა შორის.

ამხ. **რ. ოურქაა და თ. გაგუა.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

გთხოვთ ეს პატარა განცხადება გამოაქვეყნოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

ქრისტეშობისთვის აქით 1914 წ. არაფერი ცნობა არ ვიცი ჩემი ძმის თეოფილე თომას-ძის იაშვილის შესახებ, რომელიც მსახურებდა მე-9-ე სტრელკოვის პოლკში მე-4-ე როტაში ეფრეიტორათ (ზაპასია) და იბრძოდა კავკასიის ასპარეზზე ს. მერდენეკში ყარსის ოლქში. ვსთხოვ კავკასიის ასპარეზზე მოქმედ ჯარისკაცებს თუ რაიმე ცნობა მოეპოვებათ ზემოთ აღნიშნულ პირისა, მაცნობოს ამ მისამართით: დ. ონი ქუთ. გუბერნია მიხეილ თომას ძეს იაშვილს, რაზედაც წინდაწინ გულწრფელ მადლობას ვსწირავ.

პატივისცემით: **მ. თ. იაშვილი.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში.